შემოსავლების და ხარჯების კლასიფიცირება საქმიანობის სახეების მიხედვით


(ლარი)

	შენიშვნა	საანგარიშოს წინა წელი	საანგარიშო წელი
		31.12.2016	31.12.2017
შემოსავლები სასტუმრო მომსახურებიდან		3 335 063	3 514 253
კვების სექტორის შემოსავლები	2	897 217	954 818
სხვა შემოსავლები	3	504 140	1 152 665
სულ შემოსავლები		4 736 420	5 621 737
განეული მომსახურების თვითღირებულება	4	(1 891 384)	(3 015 735)
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება		(829 701)	(955 721)
კომუნალური ხარჯები		(455 037)	(544 254)
ცვეთა და ამორტიზაცია		(1 359 348)	(1 418 289)
ქონების გადასახადი		(264 709)	(233 565)
სხვა და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(242 642)	(214 343)
საპროცენტო ხარჯები	7	(1 646 915)	(1 881 141)
არასაოპერაციო ხარჯი	6	(4 057 400)	(137 227)
სულ საოპერაციო ხარჯი		(10 747 136)	(8 400 275)
მოგება დაბეგვრამდე		(6 010 717)	(2 778 538)
მოგების გადასახადი		-	(7 195)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		(6 010 717)	(2 785 733)

ნიკო შევლაშვილი



დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



მერაბ ართველაძე
ფინანსური მენეჯერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

MARINA COLISEUM


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

		საანგარიშოს წინა წელი	საანგარიშო წელი
		2016	2017
	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
1	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	231 729	1 435 723
2	შყიდვებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	5 417 693	5 281 251
3	მოშნოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(2 048 389)	(2 756 714)
4	გადახდილი ხელფასი (-)	(1 324 854)	(2 027 566)
5	გადახდილი გადასახადები (-)	-	-
6	სხვადასხვა (საბანკო ხარჯი, საკურსო სხვაობა, ქველმოქმედება და სხვა) (+/-)	(4 405)	(35 668)
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 040 044	461 303
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
7	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	(625 154)	(828 513)
8	მიღებული პროცენტები (+)	26 258	22 781
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(598 896)	(805 732)
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
20	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)	115 030	
22	გადახდილი გრძელვადიანი სესხები (-)	(352 185)	(483 300)
25	გადახდილი პროცენტები (-)		
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(237 155)	(483 300)
26	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1 435 723	607 994
27	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტების ზრდა (კლება)	1 203 993	(827 729)



ნიკო შეცლაშელი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



მერაბ ართმელაძე
ფინანსური მენეჯერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

MARINA COLISEUM

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწყისი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	სხვა რეზერვები	მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2 540 532	(8 208 655)	-	-	(5 668 124)
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-		-	(6 010 717)	(6 010 717)
ღარიკებული დივიდენდები	-		-	-	-
გაუნაწილებელი მოგების გადატანა	-		-	-	-
მოგების გადასახადი	-		-	-	-
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2 540 532	(8 208 655)	-	(6 010 717)	(11 678 840)
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-		-	(2 785 733)	(2 785 733)
გაუნაწილებელი მოგების გადატანა	-		-	-	-
ღარიკებული დივიდენდები	-		-	-	-
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2 540 532	(8 208 655)	-	(8 796 449)	(14 464 573)



ნიკო ზეცლაშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



მერაბ ართმელაძე
ფინანსური მენეჯერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შებლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება

MARINA COLISEUM

1. ზოგადი ინფორმაცია

შებლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოების “MARINA COLISEUM”-ის მიერ წარმოდგენილი 2017 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - “ანგარიშგება”) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - “ფასს-ები”), შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა (შემდგომში - “ბასს-ები”) და მათი ინტერპრეტაციების ჩათვლით, ყველა არსებით ასპექტში.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2017 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღივხო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღიარდება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. მენეჯმენტმა მიუთითა

მატერიალური გაუკრვევლობები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეჭვები კომპანიის საქმიანობის უწყვეტობასთან მიმართებაში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აჩვენა წმინდა ზარალი, თუმცა, კომპანიის მენეჯმენტის პროგნოზი მომავალი 12 თვის დადებითია, რაც გამომდინარეობს დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადებისგან. გარდა ამისა, კომპანიას გააჩნია სესხები დაკავშირებული მხარისგან. ამ სესხების ნაწილი გადასახდელია ერთი წლის განმავლობაში. მენეჯმენტის მომდევნო 12 თვის პროგნოზის საფუძველზე, შესაძლებელია კომპანიამ ვერ დააკმაყოფილოს სესხის მიმდინარე ნაწილი. ამ შემთხვევაში, მენეჯმენტი მოელოდა, რომ წარმატებით შეძლებს არსებულ მსესხებელთან ხელშეკრულების განახლებას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ვარაუდი კომპანიის უწყვეტობასთან დაკავშირებით შესაბამისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი

ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენება კაპიტალის ფინანსური კონცეფცია, ანუ კაპიტალი გაიგივებულია საკუთარ კაპიტალთან. შესაბამისად გამოიყენება კაპიტალის ფინანსური მენარჩუნების კონცეფცია. სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით. საანგარიშგებო წელი (საანგარიშო პერიოდი) ემთხვევა კალენდარულ წელს.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული

ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

თარიღი	ვალუტა	კურსი
31.12.2016	USD	2,6468
31.12.2017	USD	2,5922

ახალი ან შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად სავალდებულოა შემდეგი ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტების გამოყენება 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშო წლისათვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული.

შპს „MARINA COLISEUM“-ს არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შემოსული 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშო წლისათვის. ხელმძღვანელობის მოლოდინით, ახალი სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები შპს „MARINA COLISEUM“-ის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ძალაში შესვლის შემდეგ. შესაძლოა, ახალმა სტანდარტებმა იქონიოს გავლენა საწარმოს ფინანსური ანგარიშგებაზე

- ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოიცა 2014 წლის ივლისში) - ეს სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39-ს (და ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის 1 იანვარს დაწყებულ და შემდგომ პერიოდებს. იგი შეიცავს მოთხოვნებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასებისთვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვის და აღიარების შეწყვეტისათვის.

ფასს 9 მოითხოვს, რომ ყველა აღიარებული ფინანსური აქტივი შეფასდეს ამორტიზირებული ან სამართლიანი ღირებულებით (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში) იმის მიხედვით, თუ რომელ ბიზნეს მოდელში ექცევა ისინი და როგორია მათი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

- ფასს 15 „შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ (გამოიცა 2014 წლის მაისში) - ახალი სტანდარტი, რომელიც ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვარიდან და შემდგომ პერიოდებზე, ჩაანაცვლებს ბასს 11, ბასს 18 და მათ ინტერპრეტაციებს (იმკ 31 და ფასს 13, 15 და 18). იგი აწესებს შემოსავლების აღიარების ერთიან და ამომწურავ სისტემას, რომელიც მუდმივად იქნება გამოყენებული სხვადასხვა ტრანზაქციებთან, ინდუსტრიებთან და საფონდო ბაზრებთან მიმართებაში ძირითადი პრინციპით (ხუთი ეტაპის მოდელზე დაყრდნობით, რომელიც იმოქმედებს მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე), გაუმჯობესებული განმარტებებით, და ახალი ან გაუმჯობესებული ინსტრუქციებით (მაგ. როდის ხდება შემოსავლის აღიარება ცვალებადი ანაზღაურების აღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების და მიღების ხარჯები და სხვ.) აღნიშნულ ცვლილებას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.
- ფასს 16 იჯარა (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვარიდან, რომელიც შეცვლის ბასს 17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდები უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება ღირებულების აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადაშვებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც განეულება მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული, და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც განეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ საექვო მოთხოვნებისა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო დავა. ასეთ დროს საექვო მოთხოვნა აღირიცხება სხვა მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად, სასამართლო გადაწყვეტილებამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და

საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადადები:

- შენობები – 25 წელი;
- ნაგებობები – 10 წელი;
- მანქანა-დანადგარები – 10 წელი;
- კომპიუტერული ტექნიკა – 5 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი – 10 წელი;
- ტექსტილი – 5 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები – 10 წელი;
- მრავალწლიანი ნარგავები – უვადო;
- ეზოს კეთილმოწყობა – 10 წელი;
- პროგრამული უზრუნველყოფა – 5 წელი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.


აქტივების გაუფასურება

აქტივების გაუფასურების ტესტირება უნდა განხორციელდეს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ არსებობს ეჭვი, რომ აქტივი გაუფასურდა, მაგრამ არაუგვიანეს ბოლო გაუფასურების ტესტირებიდან 5 (ხუთი) საანგარიშო პერიოდის ბოლომდე.

ანგარიშების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

 ნიკო შეყლაშვილი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

 მერაბ ართმელაძე
ფინანსური მენეჯერი

შებლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

კვების სექტორის შემოსავლები

	საანგარიშოს წინა წელი	ლარი საანგარიშო წელი
	31.12.2016	31.12.2017
BREAKFAST საუზმე	520 770	486 981
LUNCH	59 827	38 967
DINNER	53 958	27 919
COFFEE BREAK	7 112	5 196
NIGHT BAR	6	130 190
რესტორანი	162 421	154 620
POOL BAR	50 323	53 454
LOBBY BAR (ლოზი ბარი)	42 801	57 491
სულ ხარჯები	897 217	954 818




დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

სხვა შემოსავლები

	საანგარიშოს წინა წელი	ლარი საანგარიშო წელი
	31.12.2016	31.12.2017
მინი ბარი	17 625	14 132
საქონფერენციო მომსახურება	9 936	11 041
სპა	203 486	154 481
LAUNDRY	10 721	7 360
TOURS	204	94
Wedding Ceremony	4 322	4 407
EXTRA CHARGE	-	541
ROOM SERVIS (ოთახის მომსახურება)	24	-
TRANSFER	30	-
MASSAGE	358	-
Hotel Rent	123 434	-
TRANSLATION EQUIPMENT	1 803	-
საპროცენტო შემოსავლები	26 258	22 781
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	25 869	39 300
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება	3 052	2 594
საქონლის რეალიზაცია	2 233	267
ვალდებულების ჩამოწერა	721	-
დადებითი საქურსო სხვაობა	32 595	864 326
ინვენტარიზაციით მიღებული მატობა	22 909	21 582
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	16 709	7 330
სხვა არასამოქმედო შემოსავალი	1 274	2 414
საშუალო ფასების კორექტირება	578	16
სულ ხარჯები	504 140	1 152 665

 დირექტორი
 მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

განუცხადებული მომსახურების თვითღირებულება

	ლარი	
	საანგარიშოს წინა წელი 31.12.2016	საანგარიშო წელი 31.12.2017
საქონლის თვითღირებულების ხარჯები	(408 466)	(486 613)
ფრონტ ოფისის ხარჯები	(697 024)	(159 549)
რესტორნის ხარჯები	(458 600)	(527 186)
სპა სექტორის ხარჯები	(134 816)	(196 569)
დაცვის ხარჯები	(97 627)	(228 890)
ტექნიკური განყოფილების ხარჯი	(74 896)	(283 638)
მარკეტინგის განყოფილების ხარჯები	(19 765)	(131 996)
კაღრების განყოფილების ხარჯები	(60)	(38 678)
ფინანსური განყოფილების ხარჯები	(38)	(43 376)
იურიდიული განყოფილების ხარჯები	(7)	(101 947)
კარაოკე ბარის ხარჯები	-	(135 041)
IT განყოფილების ხარჯები	(85)	(47 094)
შესყიდვების განყოფილება ხარჯები	-	(37 716)
კომერციული განყოფილების ხარჯები	-	(295 622)
დალაგება-დასუფთავების ხარჯები	-	(301 819)
სულ ხარჯები	-1 891 384	-3 015 735

 დირექტორი
 მთ. ბუღალტერი


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

სხვა და ადმინისტრაციული ხარჯები

	საანგარიშოს წინა წელი 31.12.2016	ლარი საანგარიშო წელი 31.12.2017
ქირავნოების ხარჯი	(6 600)	(38 144)
საბიჯარო ქირა	(17 218)	-
ინტერნეტის ხარჯი	(13 070)	-
საკანცელარიო ხარჯი	(4 723)	(1 038)
სამეურნეო ხარჯი	(12 530)	(1 453)
კომუნიკაციის ხარჯები	(2 602)	(20 547)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(5 240)	(32 440)
კომპიუტერის ხარჯი	(7 369)	(1 017)
დაზღვევა	(9 183)	(23 208)
ინვენტარი	-	(445)
საწვავი	(18 392)	-
რემონტი	(30 194)	-
ტელეფონის ხარჯი	(1 165)	-
პროგრამული მომსახურება	(22 932)	-
აუდიტორული მომსახურება	(1 564)	-
მომსახურების ხარჯი	(38 043)	(55 080)
ბანკის საკომისიო	(36 209)	(37 253)
სარეკლამო მომსახურება	-	(3 719)
მივლინების ხარჯი	(12 607)	-
სხვა საერთო ხარჯი	(3 001)	-
სულ ხარჯები	-242 642	-214 343



დირექტორი




მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

არასაოპერაციო ხარჯი


	საანგარიშოს წინა წელი	ლარი საანგარიშო წელი
	31.12.2016	31.12.2017
ჯარიმები	-	(609)
უარყოფითი საკუროსო სხვაობა	(3 938 740)	(45 527)
გაფუჭებული/დაზიანებული საძოწლის ჩამონება	(19 820)	(14 842)
მოთხოვნის ჩამონება	-	(198)
ინვენტარიზაციით მიღებული დანაკლისი	(53 384)	(13 384)
საწყოების ფასის კორექტირება	(3 757)	(1 401)
დახმარება	(23 135)	(53 463)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(457)	(153)
რეალიზებული ძირითადი საშუალებების თვითღირებუ	(18 108)	(7 650)
სულ ხარჯები	-4 057 400	-137 227

 დირექტორი
 მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

საპროცენტო ხარჯები

კრედიტორის დასახელება	საანგარიშოს წინა წელი	ლოარი საანგარიშო წელი
	31.12.2016	31.12.2017
BIBASSA HOLDING LIMITED	(1 646 915)	(1 881 141)
სულ საპროცენტო ხარჯი	-1 646 915	-1 881 141

 დირექტორი
 მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	საანგარიშოს წინა წელი	ლარი საანგარიშო წელი
	31.12.2016	31.12.2017
ფული სალაროში	45 598	51 504
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	1 377 765	543 415
ფული გზაში	12 360	13 075
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1 435 723	607 994

 დირექტორი

 მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM


მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	საანგარიშოს წინა წელი	საანგარიშო წელი
	31.12.2016	31.12.2017
მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან	140 127	233 324
საექვო მოთხოვნები	-	115 368
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	-
სულ მოთხოვნები	140 127	348 692

კომპანია ახდენს ანალიზურ აღრიცხვას დებიტორული დავალიანებების მიხედვით.
დებიტორული მოთხოვნები მიმდინარეა.

სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია სამართლიან
ღირებულებად.

"საექვო მოთხოვნებში" ნაჩვენებია შპს "აჭარატური" და შპს "სსგ კომპანი", რომელთან
წინააღმდეგ შეტანილია სარჩელი სასამართლოში.

 დირექტორი
 მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

ძირითადი საშუალებების მოძრაობა


	მიწა	შენიშნულ- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ლარი ჯამი
ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	2558551	17014902	4185132	231475	2772465	410152	693930	27866606
შესყიდვები		610377	41459	20334	202071	59432	99497	1033170
ბიზნესის გაერთიანებით მიღებული ძირითადი საშუალებები								0
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია/ჩამონერა						8500	18558	27058
გადატანების რეგერვის შექმნა								0
უსასყიდლოდ მიღებული ან გაცემული ძირითადი საშუალებები								0
ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	2558551	17625279	4226591	251809	2974536	461084	774868	28872717
ცვეთა და გაუფასურების რეგერვი								
აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების რეგერვების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	0	763115	588613	62769	381696	54266	133944	1984404
დარიცხული ცვეთა საანგარიშო წლის განმავლობაში		506570	422093	50446	297287	44408	97442	1418247
საანგარიშო წლის განმავლობაში შექმნილი გაუფასურების რეგერვი								0
საანგარიშო წლის განმავლობაში გასულ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა						850	5482	6332
საანგარიშო წლის განმავლობაში უსასყიდლოს მიღებულ ან გაცემულ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა								0
აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების რეგერვების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	0	1269685	1010706	113216	678983	97824	225905	3396319
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	2558551	16251787	3596519	168706	2390768	355887	559985	25882202
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	2558551	16355594	3215885	138593	2295552	363260	548963	25476398

დირექტორი
მთ. ბუღალტერი

შებლუღელი პასუხისმგებლობის საზოგადოება
MARINA COLISEUM

არამატერიალური აქტივების მოძრაობა

	პროგრამული ლოცვნა	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	ვეზგვერდი	ჯამი
ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	98391	5661	0	104052
შესყიდვები	13821	840	0	14661
ბიზნესის გაერთიანებით მიღებული არამატერიალური აქტივები				0
ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	112212	6501	0	118713
ამორტიზაცია და გაუფასურების რეზერვი				
აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	7710	573	0	8283
დარიცხული ამორტიზაცია საანგარიშო წლის განმავლობაში		0	0	0
საანგარიშო წლის განმავლობაში შექმნილი გაუფასურების რეზერვი				0
აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	7710	573	0	8283
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	90681	5088	0	95769
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	104502	5928	0	110430

 დირექტორი
 მთ. ბუღალტერი

შპს „MARINA COLISEUM“

2017 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმი
2018

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	3
1.1. კომპანიის შესახებ	3
1.2. დარგის მიმოხილვა.....	3
2. 2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა	5
2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები.....	5
2.2. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა	6
2.3. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი.....	6
3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები.....	10
3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები.....	10
4. საწარმოს რისკები.....	10
4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა	10
4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა.....	12

1. ზოგადი ინფორმაცია


1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „MARINA COLISEUM“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმოს სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2012 წლის 29 ნოემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 445418067. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №16. საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენს იურიდიული პირები - საქართველოს საწარმო შპს „მარი ჯგუფი“ (ს/ნ 245560879), რომელიც ფლობს საწარმოს წილის 40%-ს და კვიპროსის საწარმო Sanark Limited (ს/ნ HE345047), რომელიც ფლობს წილის 60%-ს.

საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები. საწარმომ 2015 წელს ექსპლუატაციაში შეიყვანა 101 ნომრიანი, 5 ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მთელი წლის მანძილზე ღებულობს სტუმრებს.

1.2. დარგის მიმოხილვა

საქართველოში ტურიზმის, როგორც დარგი წლიდან წლამდე ვითარდება. ამის ნათელი მაგალითია ტურისტების ზრდა ბოლოს 4 წლის მანძილზე. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (www.gnta.ge) მონაცემებით 2014-2017 წლებში საქართველოში შემოვიდა 26,8 მილიონი სტუმარი, ხოლო ამავე პერიოდში აჭარაში მოგზაურთა რაოდენობა სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით შეადგენდა 5,4 მილიონ სტუმარს.



ყოველწლიურად მზარდი ნაკადის გამო აჭარაში წლიდან წლამდე ვითარდება სასტუმრო ბიზნესი. 2017 წლის ბოლოსათვის ჩვენი სასტუმროს გარდა ქ. ბათუმში ფუნქციონირებდა რამოდენიმე 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო: Hilton, Radisson, Sheraton, Divan; 4-ვარსკვლავიანი სასტუმროები: Golden Palace, Windham, Intourist Palace; საკმაოდ ბევრი შედარებით დაბალი სტატუსის სასტუმროები და აპარტ-ჰოტელები.

2. 2017 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

საზოგადოების 2017 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების დინამიკის დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად:

(ლარი)

	2016	2017	ცვლილება %
ამონაგები	4 232 279	4 469 072	6%
სხვა შემოსავალი	504 140	1 152 665	129%
შესყიდული მომსახურებები	(1 891 384)	(3 015 735)	-59%
შრომის ანაზღაურება	(829 701)	(955 721)	-15%
კომუნალური ხარჯები	(455 037)	(544 254)	-20%
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 359 348)	(1 418 289)	-4%
სხვა საოპერაციო ხარჯი	(2 154 266)	(2 329 043)	-8%
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(4 057 400)	(137 233)	97%
მოგება/ზარალი	(6 010 717)	(2 778 538)	54%

2017 წელს სასტუმრო მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებულმა ამონაგებმა შეადგინა 4 469 072 ლარი, რაც 236 793 ლარით მეტია 2016 წელთან შედარებით.

ამონაგები 2017 წელს გაიზარდა შემდეგი ძირითადი ფაქტორების შედეგად:

1. ნომრების ღირებულების ზრდა;
2. ახალი ობიექტის, კარაოკე-ბარის მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი.

რაც შეეხება ხარჯებს, 2017 წელს გაიზარდა თვითღირებულების კომპონენტები, როგორცაა შესყიდული მომსახურებები და შრომის ანაზღაურება. ამის მიზეზია ახალი ობიექტის - კარაოკე-ბარის მუშაობა, თანამშრომლების შტატის და შრომის ანაზღაურების ზრდა, პიარ და სარეკლამო ხარჯების ზრდა, ასევე გაიზარდა კომუნალური ხარჯები, რაც გამოწვეულია დამატებითი დანადგარების ჩართვით და ბუნებრივ აირზე ტარიფის მომატებით.

№	ხარჯის დასახელება	ტარიფი 2016 წელს	ტარიფი 2017 წელს
1	ბუნებრივი აირი	1კუბ = 0,84 ლარი	1კუბ = 0,89 ლარი
2	ელ. ენერგია	1 კვტ = 0,198 ლარი	1 კვტ = 0,198 ლარი
3	სასმელი წყალი და წყალინარება	1ტონა = 4 ლარი	1ტონა = 4 ლარი

2.2. საზოგადოების საოპერაციო საქმიანობის შედეგების სტრუქტურა

ლარი

	2016	2017	ცვლილება %
არასაბრუნავი აქტივები	26 285 277	26 149 083	-1%
საბრუნავი აქტივები	1 780 375	1 092 041	-39%
სულ აქტივები	28 065 602	27 241 124	-3%
მოკლევადიანი ვალდებულებები	175 999	225 408	-28%
საგადასახადო ვალდებულებები	(1 635 676)	(298 721)	82%
გრძელვადიანი სესხი	36 287 575	35 020 570	3%
გადასახდელი პროცენტი	4 916 544	6 758 440	-37%
აკუმულირებული მოგება/ზარალი	(14 219 374)	(17 005 104)	-20%
სულ საკუთარი კაპიტალი	(11 678 840)	(14 464 573)	-24%
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	28 065 602	27 241 124	-3%

საზოგადოების არასაბრუნავი აქტივები შემცირდა 136 194 ლარით, ძირითადად, ძირითადი საშუალებების ცვეთის შედეგად. თუმცა ამავე პერიოდში გაიზარდა დებიტორული მოთხოვნები 255 000 ლარით.

საზოგადოების საბრუნავი აქტივები შემცირდა 688 334 ათასი ლარით, ძირითადად, ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირების გამო.

2.3. საზოგადოების აქტივების სტრუქტურის და დინამიკის ანალიზი

2017 წლის ბოლოს შპს “MARINA COLISEUM”-ის აქტივების საერთო ღირებულებამ შეადგინა 27 241 124 ლარი. აბსოლუტურ გამოხატულებაში საანგარიშო წლის განმავლობაში აქტივების სიდიდე შემცირდა 824 528 ლარით, ძირითადად, საბრუნავი აქტივების შემცირების ხარჯზე.

საზოგადოების ლიკვიდურობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	8.158	0.173
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	9.903	0.333
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	11.862	0.47

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2017 წლის შედეგების მიხედვით შემცირდა 8.158-დან 0.173-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებისათვის გაუარესდა მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვა, რაც განპირობებული იყო საზოგადოების ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით და ასევე მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით, რაც გამოწვეულია გრძელვადიანი კრედიტის მიმდინარე მოთხოვნის წარმოშობით 2017 წლის დეკემბერში, 1,5 მლნ აშშ დოლარის ეკვივალენტში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტმა შეადგინა 0.333. მოცემული მაჩვენებლის შემცირება ასევე გამოწვეული იყო ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი შემცირდა 11.862-დან 0.47-მდე. მოცემული მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს უნარის შემცირებას განახორციელოს ანგარიშსწორება მიმდინარე ვალდებულებების შესაბამისად. მაჩვენებლის შემცირება ასევე განპირობებულია ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემცირებით და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდით, რაც აგრეთვე გამოწვეულია საკრედიტო ხელშეკრულების პირობებით.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	31.12.2016	31.12.2017
ფინანსური დამოუკიდებლობის	-0.42	-0.53
სასესხო და საკუთარი სახსრების თანაფარდობა	-3.11	-2.42


2017 წელს ბალანსის ვალუტაში საკუთარი კაპიტალის წილი (ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი) გაიზარდა და შეადგინა -0.53. საზოგადოების სასესხო და საკუთარი კაპიტალის ფარდობა შემცირდა და შეადგინა -2.42. მაჩვენებლები გაანგარიშებულია ფასს სტანდარტების შესაბამისად ანგარიშგების მონაცემების თანახმად.

აუდიტორის ანაზღაურება


შპს “MARINA COLISEUM”-ს მიმდინარე 2017 წელს, ისევე როგორც წინა, 2016 წელს აუდიტორული მომსახურება არ შეუსყიდია. მიმდინარე წლის აუდიტორული მომსახურება ჩატარდა 2018 წლის აგვისტოში (აუდიტორული კომპანია შპს „კალოიანი და აუდიტკომპანია“) და მისი საფასური 15 000 ლარი დღგ-ს გარეშე ასახული იქნება საწარმოს 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საწარმოს საქმიანობის არაფინანსური მაჩვენებლები


სასტუმროში სტუმრების ნაკადის მატება ემთხვევა საზღვაო სეზონს, რომელიც იწყება მაისში და მთავრდება ოქტომბერში. სტუმრების რაოდენობა პიკს აღწევს აგვისტოს თვეში. 2017 და 2016 წლების სტუმრების დინამიკა იხილეთ დიაგრამაზე:



2017 და 2016 წლებში რეალიზებული ნომრების დინამიკა



2017 და 2016 წლებში სასტუმროში მცხოვრები სტუმრები ქვეყნების მიხედვით



3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები

3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საწარმოს განვითარება არსებული ბიზნესის მომიჯნავე მიმართულებებში.

სამორინესთვის განკუთვნილი 2000 კვმ ფართის გასაქირავებლად სასტუმრო აქტიურად ეძებს მსურველებს. აღნიშნულ ფართზე სამორინეს გახსნით სასტუმრო დამატებითი, საიჯარო შემოსავლების გარდა, უფრო მეტად დატვირთავს სასტუმროს და კვების ობიექტს, რაც საგრძნობლად გაზრდის შემოსავალს.

4. საწარმოს რისკები

4.1. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- სასტუმრო მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირების რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

აჭარის რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს შპს „MARINACOLISEUM“-სთვისფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითადად ხელსაყრელია. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობისგამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

პერიოდი	ვალუტა	კურსი
31.12.16	USD	2.6468
31.12.17	USD	2.5922

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად

ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „MARINA COLISEUM“-ის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

4.2. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

ნიკო შეყლაშვილი

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ქ. ბათუმი, 2018 წლის 20 აგვისტო

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).



ნიკო შეყლაშვილი

დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

ქ. ბათუმი, 2018 წლის 20 აგვისტო